

სწორი უღარება

„სახლების აგებამ ჩვენში ამ უკანასკნელ დროს შეტად მახინჯი სახე მიიღო... თავზე მოგვხვევს ჩვენდა უნებურად ყოვლად უმსგავსი და ყოვლად შეუფერებელი სტილი“..

(ამხ. ფ. მახარაძის წერილიდან).



— მაგილო, იმ ციხეში რატომ სხედან ძალები და ბავშვები?
 — უფილო, იმ ციხე კი არ არის, — ტრამვანის მუშაობა სახლია!

ტარტაროზის ნოტა გარეშე საქმეთა კომისიას

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
საგარეო მდიანობის
საგარეო განყოფილება

ლიან „ტარტაროზის“ ნოტა აქ საკვირველი და საოცარი არაფერია!

ამხ. კომისარო- მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი: ყოფილი რუსეთის ძველი მეფელები, რომლებსაც ამას წინაღ ურთობა მქონდათ, ისევ ოცნებობენ ვალმის განაღდებაზე, რაც თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. შე მოგონია ისინი ჩვენებური (ქართული) ანდაზის მიხედვით იქცევიან; (ანდაზა, ალბად, ჩვენი ემიგრანტებისაგან ისწავლეს): „გაღმა გაედავე და გამოღმა შეგჩრებაო“. (რუსულად: „за тот берег спрашивается, что за этим удержатъ“. ლევარსი რეზროხაძის თარგმანი).

ჩვენ არც გაღმა ვედავებით, მაგრამ, სამაგეროდ, არც გამოღმა დაფუთობით რამეს.

ჩვენ წარდგენილი გვაქვს სამართლიანი პრეტენზიები (ბლოკადისა და ოკუპაციის გამო მოყენებული ზარალის ანაზღაურება) მათი ვალდების „გასანაღდებლად“, ე. ი. გასაქვითებლად.

რა თქმა უნდა ჩვენი ციფრი გაცილებით უფრო დიდი იქნება მათ ციფრზე და ამიტომ, თითქოს, საჭიროც არ არის კიდევ მომატება, მაგრამ, ვინაიდან ჩვენი („ტარტაროზი“-ს) რედაქციისათვის ეს ციფრი საგრძნობ თანხას შეადგენს, ამიტომ, ვთხოვ ჩვენი („ტარტაროზი“-ს) პრეტენზიები (ხარჯი) შეიტანოთ სიაში, რომელსაც წარუდგენთ ძველ მეფეებს, როცა ისინი ჩვენგან ისევ მოითხოვენ ძველი ვალდების განაღდებას.

„ტარტაროზი“-ს რედაქციას 1929 წლის პირველ იანვრამდე ჩემბერლენის, პუანკარეს, პილსუდსკის, ბრიანის, მუსოლინის, მინდენბურგის, ბოლდუინისა და სხვების შესახებ მოთავსებული წერილები, კარიკატურები, კლიშეები და სხვა დაუჯდა — 000,000 907 მან. 01 კაპიკი, რაც რედაქციას, რა თქმა უნდა, არ დაეხარჯებოდა, რომ არ ყოფილიყვნ ამ ქვეყნად შემოდრამოთვლილი ვაებატონები.

მათ არ შეუძლიათ უარყონ მათ მიერ მოყენებული ზარალი აღნიშნულ თანხის რაოდენობით, ვინაიდან ჩვენ ხელთა გვაქვს „ტარტაროზი“-ს უამრავი ნომრები, რომლებშიაც თეთრზე შავათ სწერია და დახუტულია მათი დახასიათებანი და სახეები.

თუ ანგარიშის გასწორება პირნათლად მოხდება, (რის იმედიც არა მაქვს), — დარწმუნებული ვარ — ვალდები არა თუ გაქვითდება, პირიქით: მათ დაედებათ ჩვენი ვალი და კარგა მოზრდილი თანხა გვერგება ხუარდათ.

ასეთ შემთხვევაში, იმედი გვაქვს, ამხანაგო კომისარო, თავის წილს აკუთვნებთ ჩვენს „ტარტაროზს“.

შიიღე, ამხ. კომისარო, ჩვენი თქვენდამი უაღრესი პატივი და აგრეთვე ბოდიში მასაღების დაგვიანებით მოწოდებისათვის.

ტარტაროზი.

წ. შ. „ტარტაროზი“-ს პირველ იანვრის ნომერში ჩემბერლენის, ბრიანის, შტრუზემანისა და „მშვიდობიანობის ანგელოზის“, ხოლო დღევანდელ ნომერში — ჩემბერლენის, მისი ცოლის, პილსუდსკისა და პუანკარეს კარიკატურების ანგარიშს დამატებით მოგაწვდით ახლო ხანში.



გლოვია „ნიკოლოზ გრიძელის“



F1343

შეკვდა „ნიკოლოზ გრიძელი“
 ორ-ნახევარი მეტრი;
 იყო ინტრიგის მთხველი,
 ემიგრაციის ცენტრი;
 გამორჩენილი „გმირი“
 ხარდალი მეფის ჯარის;
 წაიღო თქვენი ქირის
 იყო და აღარ არისს..
 და აი, კუბო „ცინკის“
 ხედავს გასოტოლად განზე:
 წმინდა სანთელი იწვობს,
 იღვწოვთ კუბოს ბანზე.
 და იმავე ბანზე კიდევ
 ორ თავიანი ორბის.
 თვალი რომ ცრემლს ვერ იტევს,
 წვეთ-წვეთად მირს რომ მორბისს..
 და ხწივის ორბი, ხწივის,
 ხწივის არწივი თუ ბუ:
 „ზოლი ჩამავდა ხწივისს
 ხედავს ნიკოლოზის კუბოსს..
 რა ეშველება რუსეთს?
 ვინ ემეფება, ვინა?
 ჩექმის ბსკერს ვის გაუცვეთს
 ყოფილი მეფის ბინა?!,
 მისივე საჯარძელში
 ვინ გაიჭიმოს რიბით,

„სკობრა“ რომ ეპურას ბელში
 და „ძღვევა“ „სკობრას“ იქით?!”
 სწივის ორბი თუ ყვავი,
 ორ თავიანი, ძველი,
 არის ამავე მწვევე:
 „შეკვდა ნიკოლოზ გრიძელი“.
 დიდხანს უხარა ქედი:
 ჩემბერლენს, ბუანკარეს,
 მაგრამ „რუსეთის ბედი
 მაინც ვერ „მოაგვარებს“!
 იყო სერგი და ყბედი,
 როგორც უმტკიცებე გვარო,
 უწინდა რუსეთის ბედი
 ვით ხაჭე, ხაყუთარის!
 საფლავში იდგა ფეხი,
 მეფობა მაინც სურდა,
 რუსეთის „ულტრე“ კენი
 და ჯობებს ბევრი სურდა!
 მაგრამ გაუცვდა ნდობა
 და გაუღია გული:
 აღარც „მეფური შრომა“
 და არც „ჯობე“ ფული!
 და შერჩა ქვეყნად ძრომა
 სხვადასხვა „თხილეთა“ კარზე,
 აღარც „მეფური შრომა“
 და არც პორფირი მხარზეს!..

შეკვდა მეტრად კიბო,
 დიდხანს იღვწოდა ტახტზე..
 აწ ვინ გარდაცვლის ტირილს
 მწველად ჩანაძალზე?!

ემიგრაციის გული,
 ალბათ, ამ ცნობამ დახურა:
 ბევრი სურვილი, კრული,
 ბევრი მოქმედა ჩაქრისა..

ორ თავიანი ორბი
 მათ დღეს შესცვლიათ ყვავით:
 იმათი, გულის შრომბო,
 კუბოში უწევთ შავთი..

და დახდეს გლოვის მწვავის,
 ვით მოსუცის თვალს ცინგლი,
 ორ თავიანი ყვავის
 კურცხალია თუ სკინტლო..

რა ეშველება რუსეთს?
 ვინ უპატრონებს რუსეთს?
 ეს კითხვა მათ გულს უცვთს..
 ხურც შევლებია ნურც ერთს!
 მოვა კერესკი ხაშა,
 და მილიუკოვიც მოვა..
 არის გეგმებს ჩაშლა
 და ემიგრანტთა გლოვა..
 ჩერნოვიც მოვა, გოციც,
 აბრამოვიციც, დანიც,
 ნოთა პირსხოციც,
 წერეთლის ჩემოდანც..

სტირის ერი თუ ბერი,
 სტირის ნიკოლოზის ცხენი:
 „შენ იყავ ყველაფერი!
 შენ იყავ სიმხნე ჩვენი!
 ვის გაგვიძღვება აწ წინ,
 ვინ მოგვაჯდება ზურგზე?
 დიდია შენი დეაწლი!
 დეპარზე, დეინაზე, ბუგზე,
 მაშურის ტბების შუა,
 დნესტრზე, კარპატზე, ლვოვმა..
 შენს ცხენს პსკოვს ჰქონდა ძუა,
 თავი კი ჩინსტოხოვში..

და გადაგვეღო აბო,
 როგორც რომ ნოსოი, შავი,
 გულს ჰქონ ჩაგვესახლა:
 ვის შევაუღოთ თავი?!”
 მოდის მარიამ ქვრივი
 თუ მადამ-ჯან კუსკოვა..
 თვალზე ცრემლების მძაფი..
 გულში უწელი გლოვა..

„ვინ შენ, ჩვენი სურმევე,
 ვინ შენ, ჩვენი კვრიტხო,
 ბიბერო მორაშიყვე,
 იმშიც წვერ-შენაფერთხო!
 ვინ დაგვეუღოს აწი
 წინ, როგორც ყვარაგენი?
 ეს აფსუს, შენი დეაწლი,
 აფსუს, დიდება შენი!“

შეკვდა ნიკოლოზს ვირი,
 ეკრდა მისი ბარგი,
 მისი ხედავს ანატორი,
 როგორც ფარეში კარგი:
 „ეს აფსუს, შენი გეზი
 და დიდებული გეგმა..
 ბივრეგერ მაგვე დეზი
 და ფერდემიც წვერით ჩექმა..
 ხადალა ვიშოვი მსავსებს,
 ტანს და მაგ ხახის მხენა?
 შენებრ ვინ შეგმთავსებს
 ან ვინ დამიყრის ბზეხა?!”

და ასე სტირის ყველა,
 გლოვა, გლოვა, მწვავო..
 სწივისს-სადა არის შეველა-
 ორ თავიანი ყვავი!..

ნიკოლოზ კი წევს „გრიძელი“
 კუბოში გატრუნულად:
 ეს ხმა და ცრემლი ცხელი
 რუსეთის მიუჩინს ნულად!

და ხდის ზედ გლოვის მწვავის,
 ვით მოსუცის თვალს ცინგლი,
 ორთავიანი ყვავის
 კურცხალია თუ სკინტლო!..

კინო-სცენარი

უნუგეუო იმედი

ქართული
კინო-სცენარი

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ მთელ მსოფლიოში ზოგადად საბჭოთა კავშირში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოშიაც დიდი ადგილი უჭირავს კინო-მრეწველობას ბევრმა დღემდეც კი, არ იცის, თუ როგორ იწერება კინო-სცენარი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ უბრალო მიზეზით აიხსნება, რომ საქართველოს სახკინო-მრეწველ დღეში მხოლოდ ოთხმოციოდე სცენარი მისდის. მართალია ეს ოთხმოცი სცენარი ასი პროცენტით უვარგისია, მაგრამ სცენარის მიღება მარტო ვარგისიანობაზე ხომ არ არის? აქ მხედველობაში მისაღებია უმათერე სად, ის თუ ვინ დასწერა სცენარი, ვინ წაიკითხა, ან როგორი ნაცნობები ყავს სცენარის ავტორს. რასაკვირველია მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, თუ როგორ არის სცენარი შედგენილი, ან სავარგისია თუ არა იგი შინაარსის, იდეოლოგიის და მხატვრულობის თვალსაზრისით.

ასეა თუ ისე, საქართველოში რომ კინო-სცენარის შედგენა იცოდენ, სცენარების წერის მასიური კამპანია გაიმართებოდა.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, საჭიროდ ვცნობთ სანიმუშო კინო-სცენარის გამოქვეყნებას, მკითხველთა ფართო მასებისათვის მისაწოდებლად.

აი სცენარიც:

მალაზის საიდუმლოება

ეს სახელწოდება უსათუოდ მისაღებია კინო-ფილმისათვის, რადგანაც საიდუმლოება ხომ ყოველთვის ბურუსით არის მოცული და შიგ რა ყრია არავინ იცის. სიტყვა „საიდუმლოება“ უთუოდ დააინტერესებს მოქალაქეებს და ყოველი მათგანი მოინდომებს სურათის ნახვას. ასე რომ ეს ჩვენი სურათი კომერციულად გამართლებულია, რაც არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი კინო-მრეწველობის ცხოვრებაში.

ნაწილი პირველი

მყიდველებით სავსე მალაზია. ნოქარი გულში იგინება, თან თავაზიანად ეპყრობა მუშტარს (აქ საჭიროა ნოქარის როლის შემსრულებლის დიდი ოსტატობა, რომ შინაგანი გინება გარეგან თავაზიანობასთან შეათავსოს).

მუშტარებში ოციოდე ჯიბგირი ურევია, რომლებიც მოხერხებულად აცლიან ფულს მოქალაქეებს.

საერთო არეულობაა. (რასაკვირველია ლეკურის თამაშიც).

ჯიბგირმა საფულე ამოართვა მო-



— რა გატირებს, შვილო? აკი გ'გლა შეგპირდა, რომ ცოლად შეგირთაო?

— გიგლამ მითხრა, რომ გუშინ ბირჟაში ჩავეწერე, სამსახურს ვიშოვი და მერე შეგირთაო... მანამდე კი მეც შენსავით დავბერდები!

ქალაქეს, ჩუმად გახსნა და რა ნახა რომ საფულე ცალიერია, ამბობს:

„Подлость“
ჯიბგირმა საფულე მეორე მოქალაქეს ჩაუღო ჯიბეში.

მოქალაქე, რომელსაც ცალიერი საფულე ამოართვეს:

„მიშველეთ, საფულე ამომართვეს, შიგ სამასი მანეთი მქონდა“.

არეულობა მატულობს. მეორე მოქალაქე, რომლისთვისაც არაფერი ამოურთმევიათ:

„მიშველეთ, შვიდასი მანეთი ამომართვეს“!

ხმაურობა ძლიერდება. ქალი, რომელსაც ჯიბეში კაპიკიც არ ჰქონდა:

„ვამიე, ათასი მანეთი ამომაცალეს“!

სრული არეულობა. ნოქარი გულში იცინის და ფიქრობს:

„ნეტავი სულსაც ამოგართმევდენ“.

ჯიბგირი, რომელმაც ფულებით გაიტენა ჯიბე:

„ვაი ჩემ თავს, სამი ათასი მანეთი ამცანცლეს“!

მალაზიის გამგე გიჟივით ტრიალებს. ნოქარები დახლში იმალებიან.

შემოდის მილიციელი, რომელსაც მაშინვე აცლიან ჯიბიდან დაზღვევის წიგნაკს და მოწმობებს:

„ვინ არის აქ რომ ჯიბგირობს“?

საერთო სიჩუმეა. ჯიბგირები უჩინმაჩინის ქულებს იხურავენ და მიდიან.

ნაწილი მეორე

დილაა. ქუჩაში მილიციელი დგას და ნიშანს ატრიალებს.

აქრომობილი მოქალაქეს სრესს. გასრესილი მოქალაქე:

კახი დიდ საჩუნავიან კითხვებში „წასული“



— ეს ორი „შობა“ კი ვიუქმე და მოვიგდე უკან, მხოლოდ მეორე ახალი წლის „ვათენება“ კი ცოტას მეკოტმანება: 14 კვიმატი რიცხვია-ო, გამიგონია.

„მილიციონერ-ე-ერ! მიშველე, გამსრისეს“!

მილიციონერი კიდეც უფრო ატრილებს ნიშანს.

ქუჩის მეორე მხარეს ლეკუთია. აქ-იქ „შამილსაც“ ცეკვავენ. არლანი. ზურნა. ღვინის ტიკები. მილიციონერი სტირის.

ნაწილი მესამე.

გასრესილი მოქალაქე ადგა და მილიციონერს მიდის.

„რა გატირებს, მართლა კი არ მომვკვდარვარ“!

ამ დროს მას უკანიდან მოტო-ცოკლეტი დაეჯახება და კვლავ სრესს.

მოქალაქე ყვირის:

„მიშველეთ, კიდეც გამსრისეს“!

ხალხი აღშფოთებულია. ისმის ხმები:

„წუალი, წუალი მოიტათ“.

მეზოვე მირბის წყლის მოსატანად, გზაზე ჩასაფურთხებულ ყუთს წააწყდება და ხელს სტაცებს:

„სულ ერთია, ამაში მაინც არავინ აფურთხებს“.

რესტორანში ჩაირბენს და იზავე ყუთით მოაქვს ღვინო.

„აჰა, დალიე, კარგია გაჩყლეთის დროს“.

გასრესილი ღვინო გასინჯა და გაჯავრებული წამოხტა ფეხზე:

„შეგარცხვინა ღმერთმა, ეს რა მყრალი ღვინოა“?

მცნოვე ბოდიშის კილოთი:

„არ გიცო, მიკიტანმა ჩამისხმა,

ვგონებ ნემცური უნდა იყოს“...
 გასრესილი:

„მერე და როგორ ვახუდე ნემცური ღვინის მოტანა, კახური ვეღარ იზოვე შე“...

აღვლევებულ გასრესილს ამშვიდებენ და სახლში მიჰყაიბ.

ნაწილი მეოთხე

გასრესილი სახლიდან გამოპარულა და მეზოვეს დაეძებს.

ცალ ხელში ხანჯალი უჭირავს. მეორეში დანას ატრიალებს.

წელზე ხმალი და „კაჭიონი“ რევოლვერი ჰიდია.

წარწერა:

„სისხლს იღებს“.

ქუჩაში გადასვლის დროს გასრესილს კვლავ დაეჯახება ეტლი და მესამეჯერ სრესს.

გასრესილი მოთმინებიდან გამოდის და, ჰკლავს:

ჯერ ერთ ცხენს.

მერე მეორეს.

მერე მეტლეს.

მერე მგზავრებს.

„ახე ვიცის ჯაყომა“.

ამბობს გასრესილი და მირბის. საერთო ყრიაშულია.

ნაწილი მესხთე

შოფერების, ვატმანების და მეეტლების კრება.

თავმჯდომარე დგას. მდივანი ზის.

საპატიო პრეზიდენტი.

საქმიანი პრეზიდენტი.

სამანდატო კომისია.

სარიდაქციო კომისია.

რეზოლიუცია:

„არც ერთი გასრესილი ქალაქში“.

გასრესილი, რომელაც კრებაზე შემოპარულა:

„თქვენმა მზემ, მართა თქვენ დაგიტოვებთ ამოდენა ქალაქს“?

ნაწილი მემკვსე

კრებიდან დაბრუნებული გასრესილი გულდამშვიდებით მიდის სახლში.

„აჰ კი უზრუნველყოფილი ვარ“.

ქუჩაზე გადასვლის დროს მას ერთი მხრიდან საბარგო ავტომობილი დაეჯახება, მეორედან — ტრამვაი.

გასრესილი აღარ სჩანს აუდიტორიას გული უწყუხს. ზოგს ისტერიაც მოსდის.

ტრამვაი მიდის.

საბარგო ავტომობილი რჩება.

გასრესილი ძლივ-ძლივობით გამოდის ავტომობილიდან

„ამათ რომ უყურო, მართლა გამსრესენ“.

ამბობს და სახლში მირბი.

აუდიტორია (კინო - ტეატრის) კმაყოფილი რჩება და ბილეთების ფულს მოითხოვს უკან.

აჰ ალღარ-ალღარსან,

მ ე ბ ო ბ ა რ ი

ქართული
ზინალიონი

მე და ვასო ერთმანეთს ისე ვგაედიო, რომ ძმებს გვეძახდნენ.

ტრახანობით არ ვიტყვი, და მე უფრო პატიოსანი და სერიოზული ვიყავი, ვიდრე ის. მას კაპიქში არავინ ენდობოდა. მე კი ყველგან კრედიტი მქონდა ჯამაგირის მიღებამდე.

ერთ დღეს ვასო მოვიდა ჩემთან და მითხრა:—თუ ძმა ხარ ერთი თუმანი მასესხე, ხვალ კაცს მოველი, 500 მანეთი უნდა მომიტანოს და დაგიბრუნებ შენს ფულსა და კიდევ მეტს!

— გაზრეტილი კაპიკიც არა მაქვს, თორემ შენ როგორ გეტყვი უარს!

— აბა, პალტო და ქუდი მაინც მათხოვე, ხვალ დილით დაგიბრუნებ! — მითხრა და თვალები მიარჭო ჩამოკიდებულ პალტოსა და ქუდს.

გამოსავალი აღარ იყო, ველარ ვუთხარი უარი, და წაიღო.

მეორე დღე კვირა იყო, ეუცადე, მაგრამ არ შეგჭამოთ კირმა.

უპალტოდ გავედი ბაზარში.

— მობზანდი დოსტი, მობზანდი! გასმინდა, დოსტი!

— დანახვისთანავე მომადხა ფებსაცმელების მწმენდავმა, რომელთანაც კრედიტი მაქვს. (არ ვიცი საიდან არის მოსული ზესტაფონში ეს კაცი).

დაუდევრი ფეხი გასაწმენდათ.

— რა კარგი ზმა გყოლია, დოსტი! დღეს მისი ფეხიც გასმინდა!

— რას ამბობ, კაცო? ძმა მე არა მყავს?! — გამიკვირდა მისი ლაპარაკი.

— როგორ არა გყავს, დოსტი! სულ ჩემთან ისმინდავს ფეხს თქვენს ხარჯზე, თქვენი პალტო ეხვეა!... ოხ, დუღუღუტუვარ კაზი. თავის ფეხის გასმენდით, ჩემი ჯობეც უნდა რომ გასმინდოს?...

ბრაზი მომივიდა და მეპაპიროსესთან მივედი პაპიროზის საყიდლად.

ერთი კოლოფი პაპიროსი გამოვართვი და მან ალერსიანად ნახარჯი მომეწოდა.

— რას ამბობ, კაცო? ამდენი პაპიროსის მოწვევა სამ კაცს არ შეუძლია და მე როგორ წავიღებდი ამდენს?

— თქვენ ძმას მიჰქონდა... რამოდენიმეჯერ თქვენმა შეილმაც წაიღო, თქვენ შემოგეთვალათ! — თავისას იცავდა მეპაპიროსე.

— რას ამბობ, კაცო? ცოლი არა მყავს და შეილი საიდან მეყოლება?! არც ძმა მყავს მე!

— როგორ არა გყავთ! აი, დღეს თქვენი პალტო ეცვა; ამ წუთში წაიღო პაპიროსი.

— რა მეთქმოდა? არაფერი.

საპარიკმახეროში შევედი.

— ეს თქვენი დანა ძალიან ბლაგვი უნდა იყოს, რომ ასე მტკენს პარსვა! — გუსაყვედურე პარიკმახერს.

— არა მგონია! აი ამ წუთში თქვენმა ძმამ გაიპარსა და მას არაფერი უთქვამს.

— მე ძმა არა მყავს?

— როგორ არა გყავთ?! თქვენზე დამაწერიანა ფული, თქვენი პალტოსა და ქუდში იყო! ხშირად დადის და ყოველთვის თქვენსა დაწერიანებს... თქვენი ძმაა, თქვენი ასლია!

გაბრაზებული სახლი მივიდიოდი, რომ სასადილოს

ახლოს გავიარე. მაშინ მომაგონდა, რომ მშობიოდა და შევედი სადილის საქმელად.

— ოხ, რა მოქეიფე ძმა გყოლია?! — შესვლისთანავე მითხრა მიკიტანმა. — წუხელის მთელი ღამე გაათონა აქ ქეიფში... ძალიან პატიოსანი ბიჭია, თორემ თქვენ არ შეგაწუხებდათ და თქვენზე არ დამაწერიანებდა ნახარჯს!

ამ ამბავმა ისეთი თავხარი დამცა, რომ ჭამის მაღა კი არა, გონებაც დამეკარგა და სახლში მოვეკურცხლე ახალ შემლილივით.

მეორე დღეს დილით ერთი აბაზი მეზობელს გამოვართვი პურის საყიდლად და ის იყო კარებში გასვლას ვაპირებდი, რომ კარებზე კაკუნი მომესმა.

— ალბად ვასოა. მადლობა ღმერთს პალტო მომიტანა... ერთს მაგრად გავცოცხავ! — გავიფიქრე და საჩქაროდ გავაღე კარები.

ფოსტალიონი იდგა ჩემს წინაშე.

— აბაზი, ამხანავო! უმარკო წერილია თქვენს სახელზე! — მითხრა მან და წერილი მომაჩვენა ხელში.

პურის საყიდლად ნახესხები აბაზი მივეცი ფოსტალიონს და წერილი გავხსენი.

გამარჯობა შენი! თუ ხატრი გაქვს არ გეწყინოს, მარა მე ტფილისში მივდივარ ამ მატარებლით და შენს პალტო თან გამყვა. გაზაფხულზე აუცილებლად გამოგივხვები. შემ ისედაც იოლად წახვალ.

შენი ვახო.

ტარტაროზო, ალბად მანდ არის ვასო, გახადე პალტო და გამოგივხვანე, თორემ ამ ზამთარს ველარ გადავიტან და სამუდამოდ გამოგაკლდები ერთი თანამშრომელი.

ძემუნტი.

ტარტაროზისგან. თანახმად თქვენი თხოვნისა, ჩვენ გავგზავნეთ აგენტი, რომელმაც შეიპყრო ვასო, მაგრამ, სამწუხაროდ, მას უკვე გაუყიდნია თქვენი პალტო და როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, შეუტამია. (პალტო კი არა, პალტოში აღებული ფული).

„ტარტაროზი“ № 189

საქმიანური ნომერი

საბჭოთა არმიისთვის

თანამშრომლებს ვსთხოვთ აღნიშნულ მოვნიგავნოთ მასალა



„ბ ა მ ს ნ ე მ ე ბ ა“

„საივ. წმინთის-წყალში ჩამოსული ექიმი უბინობის გამო სადღესღესში სინჯავს ავთანყოფებს“.

(წაგრა):



— ექიმო, მალე, თორემ ანთება ფილტვებშიაც გადავიდა.
— ნუ გეშინიათ გამკრავი ქარის,—აქ მხოლოდ ერთმხრიდან უბერავს.

ს ა ზ ი ლ ა ო


რა კარგია ქეიფი,
შავი ღვინო, მწვადები!
უღარდელად გაივლის:
თვე და წელიწადები.
აღმასკომი — ნინუა
მიტომ აღარ ბერდება,
რომ გაძლება ღვინითა,
აღთა - ბალთას ედება.
ერთხელ ქვისლმა ბარათი
გაუფუნა პარმენსა:
„საჭილაოს ამშვენებ
და მის არე - მარესა.
თავმჯდომარე კაცი ხარ,
კაცთა შორის ქებული!
მზე უშენოთ არ მზეობს
შენით გაშუქებული.
ქვისლო, თუ გწამს ქვისლოდა,
ერთი მოგვინახულე!
უშენობით ჩემს ოჯახს,
აკიებს და ახურებს.
ისეთ სუფრას გავიშლი,
ხოვორც გეკადრებოდეს!
ისეთ ღვინოს მოგართმევ,
რომ არ ელოდებოდე“.

წაიკითხა უსტარი,
გაიღიმა ღიმილით
და გაუდგა ნაცნობ გზას,
სიმღერით და ლილით.
ქიშკარის შიგნით ერთმანეთს
გაღებვიერ ქვისლები—
მთვარემ პირი არიდა,

ღრუბლითა და ნისლებით...
და შეიქნა ქეიფი,
წადიშის ხმა გაისმა!
სადღეგრძელო მიიღო:
ოქტომბერმა, მაისმა.
თავმჯდომარეს ქიშკარი,
მაგრად გადაუხურეს! —
მორიდებით ბოლო დროს
მას მგზავრობა უსურვეს.
გზას დააღა პარმენი
თავის ქნევით, ბარბაციით!
არ ყოფილა არასდროს,
ის ღამეში ფარმაცი.
თავის სამფლობელოში
მოდის, მოეჩქარება!
კაცსა მმართებს ხანდახან
ხელის, კეტის ხმარებაც.
გაიარა სინათლე,
არაფერ ხელს უქნევს!
იწყინა და გაბრაზდა
დაერია ღუქნებსა —
დაამსხვრია, დაგლიჯა,
ბოლოდან და თავიდან!
ქაღილით და მუქარით,
შემდეგ სახლში წავიდა.

მეორე დღეს გლეხებმა,
ბევრთ ცრემლი ღვარესა!
ლანძღავდნ და კაცხავდნ,
თემის თავმჯდომარესა...

ჭავჭავი ხაჯი.



განიარაღებისა და მშვიდობიანობის შესახებ ამხ. ლიტვინოვის ნოტამ პოლნეთსა და ლიტვისადმი დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთის პრეზიდენტებთან.

მშვიდობიანად დაღამდ.

პრემიერები კარგ გუნებაზე იყვენ.

— ჯერ კიდევ წინააღმდეგობას უწევენ აჯანყებულები მთავრობის ჯარს, რომელიც წინ მოიწევს, მაგრამ სავსებით დამარცხებული ჯერ კიდევ არა ვართ! — ბუკარესტიდან ჩემბერლენს ლოჟურენსი (ინგლისელი პოლკოვნიკი, რომელიც ხელმძღვანელობს აჯანყებას ავღანისტანში).

შდარდელად დაწვა დასაძინებლად და გაზეთის კითხვა დაიწყო, რომ მალე ჩასძინებოდა (კითხვა თვალზე ჰლლის და მკითხველს აძინებს).

— ჩემო ოსტინ, ნუ კითხულობ ლოგინში მაგ გაზეთებს! — ეუბნებოდა ცოლი, რომელმაც იცოდა, რომ გაზეთებში ლიტვინოვის ნოტა იყო მოთავსებული ეს კი ბატონ მინისტრს ცუდ გუნებაზე დააყენებდა და ძილს დაუფრთხობდა.

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო; ვიცი რატომ მეუბნები, მაგრამ ლიტვინოვის ნოტა მე ძილს ვერ დამიფრთხობს! — დაამუჭიდა ჩემბერლენმა ცოლი და მეორე გვერდზე გადაბრუნდა დასაძინებლად.

შუალამეზე გადასული იყო. ყველას ეძინა.

„მშვიდობიანობის ანგელოზი“ დაჰფრინავდა ევროპის თავზე და ძილის მფარველ ანგელოზებს აყენებდა პრემიერების სასთუმალთან გუშაგებად.

— ფხიზლად იყავით. ლიტვინოვის ნოტამ ძილი არ დაუფრთხოს ბატონ პრემიერებსა და მინისტრებს! — არიგებდა ძილის მფარველ ანგელოზებს „მშვიდობიანობის ანგელოზი“.

ბათენებამდე ორი-სამი საათი-ლა დარჩენილიყო. ძილის მფარველ გუშაგ ანგელოზებს ჩამოსძინებოდათ.

პრემიერებმა და მინისტრებმა ძილში წუხილი დაიწყეს.

ცოლმა დააბირა ჩემბერლენის გავიძება, მაგრამ ძალი ისე მორეოდა, რომ თავი ბალიშიდან ვერ აიღო.

საშინელი სიზმარი, კომმარო ეჩვენებოდა ჩემბერლენს ძილში:

ერთა ლიგასა და „მშვიდობიანობის“ კონფერენციებს მართლაც დაემყარებინათ მშვიდობიანობა და მომხდარიყო სახელმწიფოების სრული განიარაღება.

— ეს რა გიქნიათ!? კეჟიდან ხომ არ შეიშალეთ?! — ეკითხებოდა ძილში გააფთრებული ჩემბერლენი ერთა ლიგას.


— აკი თქვენ ყველანი განიარაღების შომხრე ხართ?! ყოველთვის ამაზე გაიძახით, და ჩვენც გავატარეთ ცხოვრებაში თქვენი სიტყვები! — თავს იმართლებდა ერთა ლიგა.

— ვი თქვენს პატრონსა და მომგონს! მართლაც ამბობენ თქვენზე, რომ „ერთა ლიგა ნაცარქეჟია და უტვინო არისო“. ჩვენ რასაც ვამბობთ, ის რომ ცხოვრებაში გავატაროთ, ჩვენი ბურღილა ერთ კვირაში აღარ იქნება. შუ მართლა უტვინო, განიარაღებას რომ ვაპირებდეთ, რატომ დავიწყებდით ასე გამალებით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებას?! — ეკამათებოდა ძილში ჩემბერლენს ერთა ლიგას და მას ეჩვენებოდა:

შველა სახელმწიფოები განიარაღებულნიყვენ: ინდოეთსა და სხვა ახალშენები დამოუკიდებლოთა გამოეცხადებინათ. გამოიბოდნენ კულამოძუებული. ინგლისელები თავიანთი ბარგი-ბარხანით, ინგლისის ლომი ბებერ კატას დამსგავსებოდა და სასიკვდილოდ ჭყაროდა... მუშებს ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და ქარხნებს დაპატრონებოდნენ, რადგან განიარაღებულ მთავრობას აღარ შეეძლო მათ წინააღმდეგ ბრძოლა. ლიტვინოვს მიწის ბირთვი ხელში დაეჭირა და ვაშლივით ათამაშებდა.

— შესჭამს, შესჭამს, ვაშლივით შესჭამსო! — დაიყვარა ძილში ჩემბერლენმა და ისე შეკრთდა, რომ ლოგინიდან ბრაგვანი მოაღინა იატაკზე და გამოეღვიძა.

თავზარდაცემული ცოლი ზეზე წამოვარდა. ხმაურობაზე ძილის მფარველი ანგელოზიც გამოფხიზლდა და წამოხტა.



— რა იყო? რა მოვივიდა?—ეკითხებოდა კოლო ჩემბერლენს.

— საშინელი სიზმარი ვნახე... ლიტვინოვი მესიზმრა... თითქმის განიარაღება მომხდარიყო და ქვეყნად მშვიდობიანობა სუფევდა... ო, რა საშინელი სანახაობა იყო!

— ფუი ეშმაკს... პირჯვარი დაიწერე!

— ეხლავე უნდა გამოვიძახო ჩემი კოლეგები! —ოა ბარბაციო ტელეფონთან მივიდა...

— ვარშავა. პილსუდსკი.

— ააა! შენა ხარ პან?.. საშინელი სიზმარი ვნახე პან!

— ლიტვინოვი ხომ არა?

— ჰო, ლიტვინოვი.

— შენ ჩემი იკითხე... კინალამ გავგიჟდი კაცო. დამესიზმრა, თითქოს ჩემმა მთავრობამ მიიღო მისი წინადადება და გავნიარაღდით!

— სსს... არ სთქვა ეს საშიშარი სიტყვა. მაგ სიტყვის მეშინია. ეგ სიტყვა და „მშვიდობიანობა“ შიშის ჟრუანტელს მივლის ტანში. ხომ არ ღებულობთ მის წინადადებას?

— გიჟი ვართ! მართალია: მას უნდა გავვაგიჟოს ასეთი ნოტებით და გიჟები დავვითანხმიოს მის წადილზე, მაგრამ არც ისეთი სულელები ვართ, რომ ვიცოდეთ: „განიარაღებას შეიარაღება სჯობია“.

— ყოჩაღ. მაგრე უნდა... ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა ძვირფასო კოლეგა.

აი, ასეთ შემთხვევაში კი ვარ მშვიდობიანობის მომხრე.

— მართალს ამბობ: მშვიდობიანობა ძილშია კარგი, მაგრამ მოსკოვი რომ მშვიდობიან ძილს გვიფრთხობს!... ამის შემდეგ კიდევ იტყვიან ისინი, რომ მშვიდობიანობის მომხრე კართოა!

როგორც კი ჩემბერლენი პილსუდსკისთან ლაბარაკს მორჩა, ისევე გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— გისვენთ ჩემბერლენ ოსტინ!... ვინა? პუანკარე?! ჰა, შენა ხარ რაიმონდ?... როგორა ხარ? რამ შეგაწუხა ამ შუალამეზე რომ რეკავ?... საშინელი სიზმარი ნახე?... ლიტვინოვი? ბევრმა მინისტრებმა დაგირეკეს და მათაც დასიზმრებიათ ეს კოშმარი?... მე მაგ სიზმარზე უარესი ვნახე... გული კინალამ გამისკდა მართალს ამბობს, მართალს: „თვით სიტყვები: „განიარაღება“ და „მშვიდობიანობა“ შიშის ზარს მცემს და ისინი რომ ცხოვრებაში გატარდეს, მაშინ ხომ მთლად დავიღუპე... მე ყოველთვის ვამბობდი, რომ საბჭოთა კავშირი არღვევს მშვიდობიანობას - მეთქი. აბა რა დროს იყო ეს ნოტა, როცა ტანკებისა და კრეისერების კეთებაში ვართ გართული? წელიწადში სამ-ოთხჯერ ისეთ ნოტებს გვესვრის მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ, რომ ყუმბარაზე



უფრო ფეთქდება და აურ-ზაურს იწვევს მთელ მსოფლიოში... რაო? არა, ერთა ლიგაში არ დამირეკია... კი; მართალია, იქ მართლაც ბევრი უტვინო ხალხი ზის და ეგებ მართლაც აპირებენ რაიმეს მსვავს.. მშვიდობით... კი დავრეკავ ერთა ლიგაში! მშვიდობით!—და ჩემბერლენმა სწრაფ ჩამოჰკიდა მილი და ერთა ლიგა გამოიძახა...

— ერთა ლიგა!—გაისმა ტელეფონში.

— ხომ არაფერი სიზმარი გინახავთ? წუხელის როგორ გეძინათ?— შეეკითხა ჩემბერლენი.

— რა დროს სიზმარია! სიზმრისათვის ვის სცალია?! სიზმარს ძილა არ სჯობია?! სიზმარი ნერვიულ ავთამყოფების სტუმარია... ჩვენ არაფერი გვაქვს სანერვიულს.

— ლიტვინოვის ნოტას ხომ არ ემხრობით?

— ბატონო ნინისტრო, როგორ გეკადრებათ ჩვენი ასეთი შეურაცყოფა? როდის იყო, რომ ჩვენ მშვიდობიანობისა და განიარაღების გამტარებლად და მსუვეურებლად გამოვდიოდით? როდის იყო, რომ თქვენს გადაუვალს რაიმეს ვაკეთებდით? შეგიძლიათ დამშვიდებით მოისვენოთ და დაიძინოთ.

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა!

- ლონდონი... ჩემბერლენ... ბოლდუინს;;;
 - პარიზი;;; პუანკარე. ბრიან...
 - ვარშავა...; პილსუდსკი.—პილსუდსკი...;
 - რომი;;; მუსოლინი, მუსოლინი, მუსოლინი.
 - მადრიდი... ბელგრადი... ვენა;;; ბუქარესტი;;; ჩემბერ;;; პუანკ... პუანკ... პილ;;; მუს,,, ჩჩჩჩჩ...:
- ერთმანეთში აიღია ტელეფონების ხაზები და თავზარდაცემულ პრემიერებს აღარ შეეძლოთ ერთმანეთის გამოძახება.

ისეოი.





ქართული
შრომითი

მე-17-ე სტრიქონი ზევიდან

ანდრო ფსიტაძე ყველაზე მომზადებულ და გონიერ მუშაკად ითვლებოდა მთელ მაზრაში. ზოგიერთი პასუხსაგები ამხანაგებიც კი ნატრობდნენ: „ანდროსთანა რა მდენიმე ამხანაგი რომ მოგვცა, ჩვენს ბედს ძალღი არ დაჭყფდა. ძალიან ქკეიანია, ცერიელი გოგრაა ეგ დალოცვილი“-ო.

და მართლაც, ძნელი იყო მასთან დავა, ყველაფერზე მოკლეთ მოგიჭრიდათ და გეტყოდათ:

— თქვენ ალბად გავიწყდებათ, რა სთქვა ამის შესახებ ლენინმა. აიღეთ ლენინის მე-15 ტომი, გადაშალეთ მეშვიდე თავი, იპოვეთ მე-17-ე სტრიქონი ზევიდან, სადაც ნათქვამია...!

ველარაფერს უპასუხებთ... გასტუმრდებით და ეძებთ გამოსავალს ამ უხერხულ მდგომარეობიდან.

მახსოვს, ერთხელ აბანოში ჩამოვარდა ლაზარაიკი იმაზე, თუ კომუნისტებს და პროფკავშირის წევრებს უფლება აქვთ, თუ არა ტანი შექისეს დააბანინონ. ლაზარაიკს დავა მოჰყვა, დავას, ალბად, მუშტი-კრივიც მოჰყვებოდა, რომ ანდრო არ ჩარეულიყო ამ საქმეში და არ დაემშვიდებინა. მან აუხსნა:

— მარჯს „კაპიტალის“ მესამე ტომში, მე-12 სტრიქონი ქვევიდან, გვერდი 435, ნათქვამი აქვს: პარტიის და პროფკავშირის წევრებს მექისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ „ნების“ ხანაში.

მათრახი.

დ უ მ ტ ი

ვატმანი

ერთ ბედს ქვეშა ვართ მე და შენ.
შოფერო, ძმაო, კოლია;
ყოველი დილით, როს ვდგები
დარდი გულს შემოგვწოლია.
ხალხი ბუზივით ირევა,
ო, რამდენს უნდა გრიდო,
ზოგი მთვრალია, ზოგი ბრმა,
მიდის ბარბაცით, მღერითო.

ზოფარი

ამდენი ქკუა ვინ მისცა,
ჩემს ვადარეულ „მაშინა“-ს,
როდესაც ვინმეს გავიტან
რადა ვუშველო მაშინა.
რა ვქნა, ხანდიხან მიხდება
გადავქრა არაყ-ღვინისა;
შოფერს, უმისოთ ხალისი,
მიიჯარი, აბა, ვინ მისცა?

ვატმანი

მართალი არის ძმობილო,
მეცა მკლავს მაგი სენია;
ვაგონზე მეტი ჯდომისგან
მაზოლი გამომჩენია.
ხან ძილი მომეკიდება,
თავს ვაქნევ ასკილივთა;
ო, რას მივხვდები, ტრამვაი
თუ კაცზე რისხვით მივოდა...

ზოფარი

მომავონდება ხანდახან,
„თეთრი დუქანი“, კოჯორი;
სიამით გული მიცეკვავს
და შიშით თავზე ქოჩორი.
გამგე თავისი დოსტებით,
ახლდათ კატია, ტანია;
გზაზე ვლენების ურმები
რამდენჯერ გამიტანია.

ვატმანი

ხანდახან ხოში მომივლის,
არა მსუფრს ნელი „ხოლია“,
შორს ხალხი მომჩვენება,
თურმე სულ ახლოს მიდიან.

დასწყევლოს ჩემი „ტორმუზი“,
იმ დროს არ მყვება ნებასა;
ვერაფერით ველარ ვახერხებ,
მე იმის შეყენებასა.

ზოფარი

ეპ, ჩემო ძმაო, ყოველთვის,
განა, ჩვენზეა ბრალდება?
ყრუ, ბრუციანი და მთვრალი,
ალბად, თანდათან მრავლდება.
სიონის ზარიც რომ რეკო,
ზოგთან ვერაფერს გახდები;
ზოგიც ისე, ვით ჯამბაზი
ზედ მანქანაზე აბტება.

ვატმანი

ყველა ჩვენ გადაგვეკიდა,
პროკურორი- გამსახლ- სუღია,
კუსავით უნდა ვიარო,
თორემ დღე გველის ცუღია.
ან ხალხი უნდა გავდეგნოთ,
შემოუქნითო კუღია,
ან სწორი ხაზით გავმართოთ
ყველა ქუჩები მრუღია.

ზოფარი

ავტომობილის მომგონო,
მოგცეს ქირი და ვარამი,
რაც დავღე გამგეს ამაგი
იმაზეც იყო არამი,
როს კატასტროფა მოხდება,
არ შესარჩლება არაგინ.

ვატმანი

ვინ იცის, რა გველის
ან დღეს ან ხვალე?
რამდენი ვაგვიტანია,
მიდექ და თვალე.
ვაი,ვაი, ტრამ-ვაი,
ვაი, ვაი, ფორდ;
ვინა სტყუის, (ჩვენ ათუ ხალხი?)
აღინ ზნავტ ჩორტი!

ზოგაა.



იოლად გავიდა

„ეკლესიის მუშათა კლუბის იატაკი ისეა დაზიანებული, რომ ზედ გაეღო საბიუჯეტო“.



— კაცო, რა დაგმართია მაგ ფეხზე?
— არაფერი... ავერ იატაკში ცალი ფეხი ჩამივარდა და შიგვე ჩამარჩა!

ველისციხე (მოზაიკური სურათი)

კახური მარანი: არაყი და ღვინო.
 მთვრალი სახეები, უშვერი სიტყვები,
 კლუბი და თეატრი, ძველი პიანინო.
 ცხო. ხრიზანტემი, აუზი და ქვები.
 უკულმა სურათის კინოში ჩვენება;
 ბნელი ასოები და აურზაური.
 დაწვების ლოდინში ხშირად გათენება.
 ტრალიკულ მომენტში: სიცილი, ხმაური.
 სკამისთვის სირბილი და ორომ-ტრიალი.
 კინო-მოყვარული აქ ეხლა ბევრია.
 დამუნჯდა ახალი კლუბის როიალი.
 სურათებს უშვებენ მხოლოდ ერთ სერიათ.
 ტკბილი ჩურჩხელები და ღედვის ჩირები.
 ფარჩისთვის რიგები სინდიკატს მაგონებს
 შუშა აკიდული დიდუღრა ვირები.
 ო. ეს უფულობა მაფიქრებს, მალონებს.
 გოგრა და ლობიო. მურაბა და ფლავი.
 ორლობის გადაღმა ქალ-ვაჟის ჩურჩული.
 ყოველთვის ელსადგურს სტიკედება თავი.
 როდესაც პროკოფის სჭირდება ფული.
 ჭორები, ჭორები. ლანძღვა და გინება.
 ყოველ დღე ჩხუბობენ ვარსენიკ და პედო.
 სიმართლის აღნიშვნა ნურავინ გეწყინებათ.
 პირიქით: კახურით უნდა მალდებოდეთ.

ლანდელი.

ნაკილი ფუთიდან

როდესაც გემით მოველი იქა,
 მანქანა რომ ვხედავ? სადგურის შიგა
 შემბუღა ორი ვლადიკატორი.
 ორს სხვებიც აპყვა, ატყდა ხმაური;
 შიშმა დაიპყრო მთელი დარბაზი
 და ზორბა ტანის სხვა მეზღვაურმა
 ჩვენს ალეს სილა წაუთავაზა
 ალემს სანაცვლოდ ვაიძრო დანა
 და ვაეჭანა ის შურკას მხარეს;
 თითქოს შეინძრა მთელი ქვეყანა —
 დამფრთხალი ხალხი მიაწვდა კარებს.
 ქვილაც, შიშით ბარჯებს ედება.
 იქვილაც, კისრით ვადატრიალოდა
 ო, ის რაინდიც „სტოლ“-ს ქვეშ მიძ-
 ვივება,
 რომ იბრუკოდა იქ რუსის ქალთან.
 დამთავრდებოდა არ იცევი რითი,
 რომ არ მოესწროთ წესრიგის დამც-
 ველთ.
 მე მაინც უცებ ვიღრძენი თითი,
 როცა ბავშს ხელი საშველოდ ესტაცე-
 ბუფეტში ისევ სთქვეს სადღეგრძე-
 ლო...
 და ჯიბრით სკლიან პირთავე თასებს
 მე ძლიერ მიკვირს; ძმობი ლანდელი
 მანდ ნაეთსადგურში რად ხდება ისე?
 ჩახუნდაჩიმი.

საჯგევანო-გამოჩინებულის თემი

იპო მელქისე დოლოძე დარბაისელი, სვიანი.
 ვით თავმჯდომარე თემკომის ის იყო კაცი „ჭკვიანი“
 წითელმა ღვინომ მელქისეს დაუტრა თავში ტაშია
 (ტვინი აღუღდა, რა ტვინი—ვით რძის და ზრინჯის ქაშია).
 გლენებს რომ სცემდა მათრახსა—დაუფდა ერთობ ძვირია:
 ეხლა გამსახლში, ისვენებს ჩამოუშვა ცხვირია.
 ბებნიძემ მოკვლა, მოგვხარშა, არ მოგვცა წყლულის წამალი.
 ხელცარიელი ვბრუნდებით, (რა არის აქ დასამალი?!).
 მს ჩვენი კოოპერატივი ვერ არის თავის დონეზე;
 ხაქონელს მაშინ მიიღებთ თუ რომ ხართ მაგრად ღონეზე;
 მასწავლებელმა თევზაძემ შეუდგა საქმეს ზაფხულში.
 აგარაკს აწყობს „ზანდოზე“ თავის საკუთარ მამულში.
 ამბობს ერემი: „მოვაწყვეთ, ღმობილო, აგარაკია“,—
 მაგრამ მის საქმეს ეყოზა—ზედმეტი ლაპარაკია.
 სქოლის აგების საკითხი ირჩევა ჯოხი-კეტიოთა;
 არა იქ, არა აქაო არჩევენ ადგილს რეტიოთა....

იური ადგილობრივი.

ზღაპარი ქრისტეზე

ნაზარეთში იყო ერთი
 ხანსშესული ვინმე ხურო.
 კინჩხი ჰქონდა კუნთოვანი,
 როგორც აღბულახის კურო.

„სპეც იოსებს“ ეძახოდენ,
 აკეთებდა შკაფებს, სკამსა
 და იღვწოდა სანამდისინ
 არ გაეცნო მარიამსა.

მარიამი ასულია
 ნაზარეთელ თავდასა.

ფუფუნებით იზრდებოდა,
 სილამაზით მჯობნი მზისა,

საიდუმლოთ ინახავდენ,
 მას ვერ სჭკრეტდა თვალი
 სხვისა,

რა გაეცნო იოსები,
 შეიტკბო და შერთვისა..

სწორედ ამ დროს შეუსრულდა
 წელიწადი მას თექვსმეტი.

თავის დღეში არ ენახა,
 კაცი იოსებას მეტი...

ქალს მძინარეს ხეივანში
 მიეპარა იოსები,

ტუჩი-ტუჩსა გადააქლო,
 შეუერთა მხრებსა-მხრები...

და მას შემდეგ როს გავიდა
 სათვალავით თვეი მეცხრე, —

ახალ ამბავს ხალხს აცნობდა
 ერთი ახალგაზრდა მეხრე:

თურმე „ქალწულს“, „ჩვენსა
 მაროს“

მოექებნა ტყეში ბინა,
 სადაც ღამის სამ საათზე
 ვაჟი შვილი შეეძინა...

როს გაიგო მამა მისმა
 ეს ამბავი სამარცხვანო,
 აღრიალდა: „კახა - მრუში,
 აქ მომგვარეთ თვალის წინა,

უნდა მოვკლა ჩემის ხელით,
 გაფუთხარო მას საფლავი;
 ის ოჯახის დამქცევი და
 მთელი გვარის მომჯავი“.

მოიწვია სათათბიროთ
 თავადნი და აზნაურნი;
 სამსჯავროზე გაიტანა
 შვილის საქმე ნაკახუტი.

„ქალს რომ კაცი შეხებოდეს,
 ეს არ არის დასაჯერი“.
 (წმინდა კრებულის მოახსენებს
 გაიძვერა სიმონ ბერი).—

წმინდანია ეს ასული,
 უმანკოა მარიამი,

და მისი ძეც ღვთის შვილია,
 დაამტკიცებს დრო და უამი.
 სული წმინდა მას შეუძგრა,
 ცხრა თვეს მუცლათ გაიზარდა,
 წმინდა ქალის საშვიდან,
 წმინდა სული დაიბადა“.

იმსჯელეს და იკამათეს,
 მიიღეს და გადაწყვიტეს,
 ბავში ღმერთად აღიარეს
 და მონათლეს იქვე კიდევ..
 გაუხარდათ: მღვდლებს, თავა-
 დებს...

არ იცავდა იმათ თუ რა?
 გლენკაცების დასამონათ
 ქირის ოფლში გაოწურა.

ეკლესია, მონასტრები
 გაამრავლა, გააშენა.
 ხალხის მოსატყუილებლათ
 გალესილი ჰქონდა ენა...

იჯამბაზა თვალთმოქცობით
 განიღინა მან სახელი,
 დაატყუა: ქალი, კაცი,
 გამგლეღი თუ გამომგლეღი.

ქადაგები დააგზავნა
 მთელი ქვეყნის ყველა მხარეს,
 (იყო გოპნოტიზიორი)
 და ძე-ღმერთად აღიარეს.

„უკვდავი“ გაიძახდენ,
 ის სასწაულოთ მომქმედია,
 აქლემათ გადააქცია
 მწვანე ბადის კომში ბიე,
 ცხენი ღორათ აქცია და
 ძაღლს მოაბა ირმის რქანი...
 გააბიჭა ერთი კოცნით
 ორი გოგო, ორი დაი“.

შეიფერა უკვდავება
 და მოჰქოდა ღმერთად თავი,
 გულუბრყვილო ვინც კი შეხვდა,
 ააცალა ზურგზე ტყავი.
 ოქტომბერი რომ მოვიდა,
 დაამსხვრია ცრუ გერბები,
 მღვდლებმა თმები დაიხუტეს,
 ყველგან ჩაჰქრა კელაპტრები.
 ეკლესია არავის სწამს,
 მონასტრიდან გარბის ბერი,
 ტერტერებიც გავაშკაცდენ:
 დაიპარეს ულვამ - წვერი,
 მხოლოდ თუ კვლავ დარჩენილა
 და სადმეა მღვდელ-ტერტერა,—
 ყურადღებას არავინ აქცევს,
 მათის ძალის არვის სჯერა.

კოკი.

ანდაზები

პორთფელის სიყვარულით,
 ტყავტრესტში ტყავებს ჰკოცნიდე-
 ნო

ავტო რომ გადაბრუნდება,
 შოფერა მერე გამოფხიზლდებაო...

ტრაქტორის ძალა
 აღმართს ჰხნავს,
 ზაფხოზმა თხარა, თხარაო,
 რევიზია გამოთხარაო.
 ურემი რომ გადაბრუნდება,
 პატრონი გადმოაბრუნებს.
 ვისაც უნდა მოყვარე მტრად გაიხა-
 დოს, ადგეს და სისწორე და სიმართ-
 ლე პირში უთხრას.

იურისტი დამცველთა კოლეგიის
 წევრი, მაშინ უნდა გახდეს, როდეს-
 საც თავისი თავის დაცვაც შეეძლება.

ვისაც უნდა გამგეს თავი შეაყვა-
 როს, მას თავისი ნათესავი ქალის
 „შეყვარებას“ უფლებაც უნდა მიანი-
 ქოს უკანასკნელს.


ზოგჯერ ცოტა და პატარა გერ-
 ჩიოთ, ბევრს და დიდსა. (მაგალითად:
 მე ერთ ოზმა „ბუმტრესტის“ ქა-
 ლალდს ერთი „პატარა“ 25 ჩერვონე-
 ციანი მიჩვენია).

თავის დახრჩობა ვისაც გინდათ,
 ფასონისათვის მტკვარში რომ გადა-
 ვარდეთ, აუცილებლად ცურვა უნდა
 იცოდეთ, თორემ „სპასატელნი ბრი-
 გადის“ მოშველებამდე ბარე ორი
 ტურა იკვილებს.

ღონ-კიხოტი.

ფრთხილად!

ქალ. აღმასკომის ბუჰალტერის ნაწილი მოთავსებულია ღერუფანში, სადაც იატაკი დამპალია. გინგ (დონე) 1933



— მიშველეთ! მიშველეთ!
— რაი გიშველო, ძმაო? ერთი რომ იღუბება ისიც კმარა.

სურამი

გუშინ ვიყიდე ქამანჩა და მასთან კიდევ სტვირია. (ჩვენში ორივეს შეძენა არც ეგზომ არის ძვირია). უამისობაც არ ვარცა, სურამელებს მეტად გვჭირია. ზოგიერთების წყალობით ბოლომით ვაგვიჩნდა ჭირია. ეხლა დავიწყოთ თავიდან ავადილინოთ სტვირია; გაიგოს ყველა კეთილმა რას მოვსთქვამ და რას ვსტვირია.

სიმონ ლომიძე სურამში ცნობილი ხულიგანია. (რაც ეს „ხელობა“ დაიწყო, მას შემდეგ დიდი ხანია). ყოველ-დღე დილა-საღამოს ვალეშილი და მთვრალია. ქუჩაში გაულანძლავი მას ვერ გაუვლის ქალია. ჩხუბი, დარტყმა და გინება მისთვის „სული და გულია“. რომ უგამსახლოდ გასწორდეს, ამაზე ფიქრი ტყულია!

ეს გოგოშიძე გავუცა სიმონის მეგობარია. ივანეს დაჰკრეს კისერში, ადინეს ცხვირში ძმარია. სურამის მოქალაქენი გიგუცამ ბევრჯერ არია. გვიშველე, დილო ტარტაროზ, შიილე საჩივარია. რაცა ვსთქვით, ჯერ ეს ვიკმაროთ, და შევჩეროთ სტვირია. თუ რა ეკუთვნის ამ ლოთებს, მაზე თქმა თქვენ არ გჭირია.

ჩადიო სვირიდან

— ალლო, ალლო, ალლო... ლაბა-რაკობს: „ტარტაროზის“ სახელობის, თენებოურის რადიო სადგური. — რადიო ექსპედიცია, რომელიც გაემგზავრა მყანვარზე წასულ თვეში, შეიხერდა თენებოურის წვერზე, რადგანაც მყინვარზე გაცილებით დაბალია. ამინდი ეხლა საუცხოვოა რთველის დროს რომ არ ვარგოდა. ახლო მომავალში ჩვეულებებისამებრ მოველით ზამთარს. დღეიდან მიზნის მიღწევადის, ე. ი. მყანვარზე „ასელამდი“, ჩვენი რადიო მიაწვდის „ტარტაროზის“ საშუალებით ფართო საზოგადოებას აქაურ ამბებს.

„ახალი-აგზი“ თიხაგოზ-რიდან

სად. სვირში დაარსდა „ვის ღვინო არ ყვარება“-სთან მეტროპოლი საზოგადოება, რომლის აქტიურ და სულის ჩამდგმელ წევრებათ ითვლებიან: ია-შა; მიშა, გოგია, კაკუნია, გიორგი, და მრავალი სხვები. მათი ღვევიზ არის ცნობილი სიმღერა: „რა უყოთ ისეთ სვირელსა, ვის ღვინო არ ყვარება“ და სხვ. სხდომები იმართება ყოველ სამშაბათს, ვარლამას სამიკიტნოში.

იუზილე

განზრახულია იუზილეს გადახდა კოლექტივ „გაჩითე“-სთვის მისი რამდენიმე წლის „მოღვაწეობის“ აღსანიშნავად. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გრიგოლ აბულაძე.

სიზმარი

სვირის მესვეურებს დაესიზმრათ: ვითომ სახალხო სახლს რადიო ანძა და კინოს ეკრანი ამშვენებდა. ისილორე და ამბერკი ფიქრობენ: სიზმარი მალე ახდებოთ.

წითელ ქაჯა.

ცნობათა შიშვება



კონსტანტინე
ლიონიძე

პროტექტორის (ხარაგოული):— ჩვენ სასწრაფო გუ-
თანხმებით, რომ დაუშვებელია ცხრაწლიის მასწავლე-
ბლის საქციელი.

კაგდა ონ ნე ვნასტრაენი
ზნაეტ ფანჯრების ჩამტვრევა... (და ისიც ზამ-
თარში, რითაც უფრო დიდდება მისი დანაშაული).

ძიშვარაძის (სურამი):—ახირებული კაცი ყოფილ-
ხარო. ამას წინედ გვწერდით: „ეს წერილი მომითავსეთ
ეურნალში და ამის მეტს აღარ შეგაწუხებთო“. ჩვენ და-
ვიჯერეთ თქვენი აღთქმა და დავებუდეთ ის წერილი.
ებლა ისევე გვიგზავნით და გვწერთ: „კიდევ გამოიღინა
ცოდვამ და გაწუხებ, მაგრამ იმედია არ გამოიჯავრდება“.
კი გავჯავრდებოდით, მაგრამ აქედან რა გამოვიდოდა!

**„ფსიქიატრიულ ახალშენს დაეცენ ბატები. აღმინის-
ტრაციამ (ახალშენის) მოიგერია თავდასხმა და ერთი
ბატი კიდევ მოჰკლა. ბატი შესწვეს და ვერ გავარ-
კვით, მაგრამ აღბად, სწერია: „შესჭამეს“.**

კარგი საქმეა თქვენ ნუ მომიკვდებით!.. თქვენ შეს-
ჭამოთ მოხრაკული ბატი, ხოლო ჩვენ კი ასეთი წერილე-
ბი ვასწოროთ.

„შანს“ (შემოქმედი, გურია):—თუ თქვენი:
საბჭო ძილშია ამდენხანს
არა-რა უკეთებია;
საქმევი უამრავია,—
თავზე რამდენიც თმებია.

მოახლოვებულია საბჭოთა არჩევნები და მანამ დავი-
ცადოთ. ბოლოს გვწერთ:

ჩხუბი და აყალ-მყალი
ჩვენს თემში მეტად ზშირია.
თავი რომ ვისმეს გაუტყდეს,
არც არის გასაკვირია.

და არც არავის გაუკვირდება! ასეთია ჩხუბისა და
აყალ-მყალის შედეგი.

ტუშუს:—აი ამ ტერმომეტრს ვიგზავნის ტარტა-
როზი და სიციხე გაისინჯეთ.



კოსტა დალაძს (გუდაუთი, სოხუმი):— მე კი
კაცო, რევოლვერით კაცი მოუკლავთ, ყველას დაგიტო-
რიათ... და შენ კი ლექსად მწერ ამ ამბავს ტარტაროზ-
ში მოსათავსებლად. (სადაური სატარტაროზოა ის ამ-
ბავი?!).

ხოლო ბოლო სიტყვაში ჩვენც გეთანხმებით:
ყველა მრუდსა და მართალსა
წილზე ჰკიღია ნავანი.
საქმისთვის მაინც ხმარობდენ!
იმით დაეწვათ აკვანი.

და ბოლოს დასძენთ: „ნეტავი ამ დროს რას აკე-
თებს ადგილობრივი ხელისუფლება?“.. ამ საკითხზე
ვერც ჩვენ მოგცემთ პასუხს. ეს ჩვენთვისაც კითხვითი
ნიშანია.

თქვენი შარადიდან გამოდის „გუდაუთი“, რომელიც
შესახებაც სწერთ:

მას რომ პატრონი უფლიდეს
ვითა წესი და რიგია.

**ჯამრთელობის მხრივ სხვა კუთხეს
არ ჩამორჩება იგია.**

ამ საყვედურის თქმა აშკარად სჯობია; ეგებ მაშინ
მიატკიონ ამ საქმეს ყურადღება, თორემ შარადით და
ქარაუშებით საქმე არასოდეს გაკეთებულა.

შარის:—შემოიარეთ ჩელატკიაში.

იზიშის (კიათურა):—ამ ორ კაცს ხომ ვერ გადაგუ-
ცებით! დავიცადოთ, რა ზომებს მიიღებენ მათ წინააღ-
დეგ. უკვე საქაოლ დაიწერა.

შიშვარადი ხაბიშვილი:—„ტარტაროზი“-ს №
183-ში მოთავსებული წერილი „დელეგატი“ (ავტოროს
„ერკმან-შატრიანი“) თქვენ არ შეგებებათ; თქვენი სახე-
ლი შემთხვევით არის აღებული; თემა ზოგადია და არა
კონკრეტულ ფაქტზე დამყარებული.

მაკარინეშვილი: საცოდავი მაკარინე, რა შეილი
ჰყოლა!

იანის (ნარაზენი, ზუგდიდის მაზრა):—ჩემო ძმარ
იანი, უკვე არის გეიანი... აკი ამის წინედ ვცქონდა მო-
თავსებული წერილი და კარიკატურა, რომ:

დავრენტი სკოლის გამგეა,
ლომინს პატივი უცია.
ერთის გვარია—კოდუა,
და მეორესი—კუცია.
ერთი გვაგონებს დონ-კიხოტს
და მეორე კი სანჩოსა.

როსინანტი ჰყავს პირველსა
ზედ მუდამ ზის და ახრჩობსა.

ჩიორას (ხარაგოული):—აღმასკომის თავმჯდომე-
რეს თუ სძინავს, მალე გამოვლივდება, რადგან მოახლო-
ვებულია საბჭოთა არჩევნები, მაგრამ მაშინ, რა თქმა
უნდა, გვიან იქნება გზების შეკეთება და სხვა საქმეების
გაკეთება.

ხოლო, რაც შეეხება, რომ:

ო, ეს ჩვენი ელსადგური
არ ანათებს ღამით,—
იაკინთეს ტკბილად სძინავს,
არ სწუხდება ამით!

აბა რა უნდა ჰქნას იაკინთემ? თქვენ თუ გინდათ და-
მით ძალი. მას არ უნდა?! „გამვლელები ღამით კისტრს
ღებენო“.. ასე ამბობს ლევარსი როხროხაძე.


ოუნს (ნიგოთი):— ეს ყველაფერი წინასიტყვაო-
ბაა, რომელიც ტარტაროზს სრულიად არ აანტერესებს.
საქმე ის არის—რაც წინასიტყვაობას მოჰყვება. (მაგრამ
აქედანვე სჩანს, რომ ვერაფერი ხეირი იქნება).

შუთურ-აირს (კულაში):—თქვენი „სიზმრის ახს-
ნიდან: ვათავსებთ მხოლოდ ერთ ადგილს: „მასწავლებე-
ლი ვლადიმერ არველაძე ნახოთ, ცუდია—ამ წამთარში
თავშიშვლად სიარული მოგიხდებათ: თმა და წვერი გა-
გვზრდებათ“. ეს სიზმარი კი არა, ცხადია, და რა ახსნა
უნდა!

ძაბუნას:—თქვენი, „უთავო კაცი“ ასე თავდება:
„ერთხელ კიდევ ვაგზავნი ამ წერილს და თუ არ დაგი-
ბეჭდავთ, შემდეგში ჩვენგან ვერაფერს მიიღებთ“.

ტარტაროზს ღმერთი არა სწამს, მაგრამ ამ ამბავმა
ისე გაახარა, რომ მისიდა უნებურად წამოიძინა:

— მაღლობა ღმერთს: ეგებ აწუხებთ მოგვასვენოსო.
მართლაც ამ „უთავო კაცმა“



კათოლიკური მნიშვნელობა
ტუილი
კათოლიკური მნიშვნელობა

— აი, დაწესებულება, სადაც ოც პროცენტისანი შემცირება მთელი 500 პროცენტით ჩაუტარებიათ, როგორ
სჩანს!
— რა სჩანს! ვერა ხედავ, ვერა ათი საათისა შემოიარე თერთმეტ საათზე და ნახავ, რაც „შემცირება“ ჩატარდა!